საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-20/303
16/05/2019

303-შ-19-1-4-201905161202

სს „სილქნეტი"-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ სს „სილქნეტ"-მა კომისიის 2019 წლის 4 თებერვლის Nგ- 19-05/294 წერილის და 8 თებერვლის Nგ- 19-08/328 პასუხად 2019 წლის 24 აპრილის წერილით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-19-6/1873) წარმოადგინა გამოთხოვილი ინფორმაცია კომპანიის აბონენტების მიერ მოხმარებული პაკეტების, ე.წ. ბანდლების შესახებ და მოითხოვა წარმოდგნეილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის პირველი ნაწილის, ასევე „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომერციული საიდუმლოება ეს არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

კომისიამ განიხილა სს"სილქნეტის" მოთხოვნა, რის შედეგადაც გამოიკვეთა კომპანიის მხრიდან მოთხოვნის დაზუსტების აუცილებლობა. კერძოდ, ბუნდოვანი იყო თუ წარმოდგენილი მონაცემების ერთობლიობიდან, რომელ ნაწილს მიიჩნევადა კომპანია კომერციულ საიდუმლოებად. მიმდინარე წლის 13 მაისს კომპანიამ კომისიაში წარმოდგინა წერილი, რომლითაც იგი ითხოვს ფიქსირებული და მობილური მომსახურების ნაწილში, სატარიფო პაკეტების მიხედვით: აბონენტების რაოდენობის, შესაბამისი მომსახურებების მოხმარების და ამ მოხმარებიდან მიღებული შემოსავლების ოდენობის კომერციულ საიდუმლოებად ცნობას.

კომისია განმარტავს, რომ აღნიშნული ტიპის მონაცემებს მობილური ოპერატორები ავსებენ კომისიის ელექტრონული ანგარიშგების ფორმებში. ამასთან, 2014 წელს კომპანია „სილქნეტმა" ელექტრონული ფორმების სატარიფო გეგმების, პაკეტებისა და აქციების ნაწილში მიმართა კომისიას მოთხოვნით, რომ აღნიშნული მონაცემები ეცნო კომერციულ საიდუმლოებად, რაზეც კომისიამ

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

იმსჯელა და ნაწილობრივ დააკმაყოფილა კომპანიის მოთხოვნა. რაც შეეხება კომპანიის მიერ 2019 წლის 13 მაისს დაზუსტებულ/წარმოდგენილ მოთხოვნას, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად ავტორიზებული პირი ვალდებულია სრულად და მოთხოვნილ ვადაში მიაწოდოს კომისიას ამ კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტაცია, მისი კონფიდენციალურობის მიუხედავად, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კომისიამ უნდა დაიცვას კონფიდენციალურობა მიწოდებული ინფორმაციისა, რომელიც ითვლება კომერციულ საიდუმლოებად ან პერსონალურ მონაცემებად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. განზოგადებული ინფორმაცია მომსახურების ბაზრის თაობაზე, ასევე მონაცემები აბონენტთა რაოდენობის, ტრაფიკის, მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ არ შეიძლება იყოს კონფიდენციალური.

კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარ ვებგვერდზე ინტერნეტში განათავსოს ინფორმაცია მომხმარებლებისთვის შეთავაზებული მომსახურების პირობების, მათ შორის, მომსახურების პაკეტების და მომსახურების ტარიფების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირის მიერ აბონენტებისთვის შეთავაზებული მომსახურების, კერძოდ მომხმარებლებისთვის შეთავაზებული მომსახურების პირობების, მათ შორის, მომსახურების პაკეტების და მომსახურების ტარიფების თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროების ვალდებულება ავტორიზებულ პირებს დაკისრებული აქვთ როგორც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტით“.

კომისიის მიერ 2014 წლის 446/20 გადაწყვეტილების გათვალისწინებით, კომისია მიიჩნევს, რომ ვინაიდან სს „სილქნეტის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის მიერ ივსება ელექტრონული ანგარიშგების ფორმებში, რომელიც შესაბამის ნაწილში კომისიას ნაცნობი აქვს კომერციულ საიდუმლოებად, კომპანიის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს იმავე სახით. აღნიშნულ შემთხვევაში კომისიას მიაჩნია, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, სს „სილქნეტის“ მიერ მობილური მომსახურების აბონენტებისთვის შეთავაზებული კონკრეტული სატარიფო გეგმების, პაკეტების, აქციების ჭრილში მოხმარებული ტრაფიკის, შემოსავლებისა და გადასახადების თაობაზე ინფორმაცია, შეიცავს კომერციულ საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, რადგან ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია კონკურენტი კომპანიების მიერ განისაზღვროს, სს „სილქნეტის“ მიერ შექმნილი რომელი კომერციული პროდუქტი (პაკეტი, სატარიფო გეგმა, აქცია) არის ბაზრისთვის და შესაბამისად აბონენტებისთვის უფრო მიმზიდველი

და მოხმარებადი. აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნებამ კი კომისიის აზრით შესაძლოა, ზიანი მიაყენოს სს „სილქნეტის“ კონკურენტუნარიანობას. რაც შეეხება ფიქსირებული მომსახურების ფარგლებში წარმოდგენილ ინფორმაციას, კომისია ამ შემთხვევაშიც იზიარებს ელექტრონული ანგარიშგების ფორმების ფარგლებში წარმოდგენილი და კომერციულ საიდუმლოებად ნაცნობი მონაცემების შინაარს და განმარტავს, რომ „სილქნეტის“ მიერ ფიქსირებული მომსახურების აბონენტებისთვის შეთავაზებული კონკრეტული სატარიფო გეგმების, პაკეტების, აქციების ჭრილში მოხმარებული ტრაფიკის, შემოსავლებისა და გადასახადების თაობაზე ინფორმაცია შეიცავს კომერციულ საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, რადგან ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია, კონკურენტი კომპანიების მიერ განისაზღვროს, სს „სილქნეტის“ მიერ შექმნილი რომელი კომერციული პროდუქტი (პაკეტი, სატარიფო გეგმა, აქცია) არის ბაზრისთვის, შესაბამისად, აბონენტებისთვის უფრო მიმზიდველი და მოხმარებადი. აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნებამ კი, კომისიის აზრით, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს სს „სილქნეტის“ კონკურენტუნარიანობას.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 31–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პროფესიული და კომერციული ინფორმაცია გასაიდუმლოვდება უვადოდ. კომერციული საიდუმლოება ღიად უნდა გამოცხადდეს, თუ მას აღარ გააჩნია ის ღირებულება, რის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლისა და 31–ე მუხლისა, ”საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” მე-19 მუხლის მე–4 პუნქტის და 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაკმაყოფილდეს სს „სილქნეტის“ მოთხოვნა, 2019 წლის 24 აპრილის წერილით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-19-6/1873) დანართით და შემდგომ 2019 წლის 13 მაისის წერილით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-19-6/2186) წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე;

2. ცნობილ იქნას კომერციულ საიდუმლოებად 2019 წლის 24 აპრილის წერილით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-19-6/1873) დანართით წარმოდგენილი ინფორმაცია მხოლოდ: ა) მობილური მომსახურების კონკრეტული სატარიფო გეგმის, პაკეტის, აქციის ჭრილში მონაცემები: აბონენტების რაოდენობის, კონკრეტული მომსახურების მოხმარებისა და შესაბამისად მიღებული შემოსავლების შესახებ; ბ) ფიქსირებული მომსახურების კონკრეტული სატარიფო გეგმის, პაკეტის, აქციის ჭრილში მონაცემები: აბონენტების რაოდენობის, კონკრეტული მომსახურების მოხმარებისა და შესაბამისად მიღებული შემოსავლების შესახებ.

3. ინფორმაცია ჩაითვალოს კომერციულ საიდუმლოებად სს „სილქნეტის“ მიერ ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ კომისიისათვის მომართვამდე ან ვიდრე არ დაკარგავს იმ ღირებულებას, რის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული;

4. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 31–ე მუხლის მე–2 ნაწილის შესაბამისად, სათანადო წესით შესაბამის რეესტრში შეტანა (ნ. ჯავახიძე);

5. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების სს“სილქნეტისთვის“ გაგზავნა (ნ. ჯავახიძე);

6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი დამოწმებული ასლის სს“სილქნეტისთვის“ ჩაბარების დღიდან;

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6) ერთი თვის ვადაში;

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ო.ვოტტ).

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე

კომისიის წევრი